დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. დმანისი 18.07.2019

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: გ. ციხელაშვილი , ზ. გრიგალაშვილი , ნ. მაჯითოვი, შ. აკობაშვილი ა. შარიფოვი. დ. დაუთაშვილი .

კომისიის თავმჯდომარე : გოგი ციხელაშვილი

მდივანი: ლ. გადრანი

დღის წესრიგი;

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობით სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის '' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
5. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,მაგთიკომისათვის'' ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' შენობის სახურავზე ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1.გოგი ციხელაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში დანართის შესაბამისად

აზრი გამოთქვეს: შოთა აკობაშვილმა, ზაურ გრიგალაშვილმა

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

2.გოგი ციხელაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობით სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.13.42.517 (სახნავი), დაზუსტებული ფართობი 48500,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 242.50 (ორასორმოცდაორი ლარი 50 თეთრი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს: ნიაზ მაჯითოვმა, დათო დაუთაშვილმა.

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

3.გოგი ციხელაშვილმა გააცნო კომისიის წევრებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის, მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარით ორი წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.17.41.033 (საძოვარი), დაზუსტებული ფართობი 2000000,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 7279.99 (შვიდიათასორასსამოცდაცხრამეტი ლარი 99 თეთრი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს: აიდინ შარიფოვმა, შ. აკობაშვილმა.

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

4. გოგი ციხელაშვილმა გააცნო კომისიის წევრებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის,მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს'', მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 200 (ორასი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი (1100 ლიტრიანი), საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 110636, 00 (ასათიათასექვსასოცდათექვსმეტი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: დათო დაუთაშვილმა , ზ. გრიგალაშვილმა

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

5.გოგი ციხელაშვილმა გააცნო კომისიის წევრებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის,მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადასცეს შპს ,,მაგთიკომს'' (ს/კ 204876606) , დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა №56-ში

მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4538,00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' შენობის (ს/კ 82.01.46.081) სახურავზე 3,00 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 5(ხუთი) წლის ვადით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 300,00 (სამასი) ლარი თვეში (3600 ლარი წელიწადში).

აზრი გამოთქვეს: ნიაზ მაჯითოვმა, შოთა აკოფაშვილმა

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე; გ. ციხელაშვილი

მდივანი : ლ. გადარანი